

## 2012 წლის ანგარიში

---

### საფინანსო სისტემები

#### **eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა**

დასრულდა ელექტრონული ხაზინის სისტემაში ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციის პროექტის პირველი იტერაცია, რომლის ფარგლებშიც ბუღალტრული პროცესების ინტეგრირება მოხდა ხაზინის ელექტრონული სისტემის სახელფასო მოდულში. აღნიშნული იტერაციის ფარგლებში შეიქმნა ბუღალტრული მთავარი წიგნის მოდელი და მთავარ წიგნთან წვდომის ანალიტიკური ფუნქციონალით აღჭურვილი ფორმები. ასევე გაკეთდა მთავარ წიგნში მაკორექტირებელი გატარებების განსახორციელებელი დამოუკიდებელ გატარებათა მოდული, რომლის მეშვეობითაც მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლებს შეუძლიათ შექმნან გატარებები უშუალოდ მთავარ წიგნში.

სისტემაში ახალი ფუნქციონალით ხდება ბანკის მიერ მობრუნებული თანხების სახელფასო უწყისის დონზე იდენტიფიცირება, რომელშიც ინტეგრირებულია საჭირო ბუღალტრული გატარებები.

სისტემას დაემატა ახალი მოდული, რომლის ფარგლებშიც ხდება წინა წლის ნაშთების ადმინისტრირებაბუღალტრული ანგარიშების ჭრილში. ხსენებული ფუნქციონალი ასევე ინტეგრირებულია მთავარ წიგნთან.

შეიქმნა ბუღალტრული ბალანსისა და ბუღალტრულ ინფორმაციასთან დაკავშირებული სხვა ტიპის ანგარიშგების დოკუმენტები.

#### **eBudget - სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა**

დასრულდა ხუთივე ტიპის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებით ხაზინაში რესურსების კონტროლის (რესურსების გაყინვისა და გაყინული რესურსების აღდგენის) ამოცანა.

დასრულდა ცნობის მე-6 ტიპი, რომელითაც ხდება ხაზინაში რესურსების გაყინვა.

დასრულდა კომენტარებისა და ვალიდაციების მექანიზმები ექსივე ტიპის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებსა და მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობებში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტული ბოლო დონის საბიუჯეტო ორგანიზაციული კოდის (სახაზინო კოდის) კონკრეტულ ეკონომიკურ მუხლზე, კონკრეტულ კვარტალში ვალდებულებაზე, მოთხოვნაზე, გეგმაზე რესურსების და სხვა საჭირო ინფორმაციის გაგება.

დასრულდა სტრუქტურული ცვლილების ცნობების ჯაჭვები, ვალიდაციებისა და რეპორტირების მექანიზმით, რომლითაც შესაძლებელია ერთი ჯაჭვის შიგნით შემდეგი ოპერაციების განხორციელება: ახალი კოდის/კოდების დამატება, კოდის/კოდების პარამეტრის ცვლილება, კოდის/კოდების ამოჭრა-ჩასმა.

დასრულდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული იურიდიული პირების (სსიპ, ა(ა)იპ, შპს, სს) ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ზემოთაღნიშნული იურიდიული პირები მოახდენენ ინფორმაციის დეკლარირებას საჭირო პერიოდულობით.

დასრულდა ბიუჯეტის პორტალების (Spending Units; Financial Policy Department; Budget Management) უფლებების - მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (epassport) ინტეგრაციის ამოცანა.

დასრულდა 2011 – 2012 წლის ხარჯების დამტკიცებულ ფაილში 2011 წლის ფაქტების ხაზინის სისტემიდან იმპორტირების ამოცანა.

დასრულდა 2012 - 2013 წლის ხარჯების ფაილებში 2012 წლის ფაქტიური ინფორმაციის ხაზინის სისტემიდან იმპორტირების ამოცანა და 2011 წლის ფაქტიური მონაცემების 2011 – 2012 წლის დამტკიცებული ფაილიდან იმპორტირების ამოცანა.

დასრულდა ახალი ანალიტიკური რეპორტი, რომელშიც ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციულ კოდებზე ამოდის, როგორც საბიუჯეტო სახსრების, ასევე, დონორების დაფინანსების წყაროებზე.

დასრულდა ცვლილების ცნობების შექმნის, ვალიდირების და რეპორტირების ამოცანა ბიუჯეტირების შემდეგ პორტალებში:

- ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი (შემოსავლები)
- საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემოსავლები - ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტები)
- საბიუჯეტო დეპარტამენტი (ნაშთები)

დასრულდა ცვლილების ცნობების კალათის ამოცანა. კალათის ამოცანა გლობალურად მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- II, და V ტიპის, დამტკიცებული და დაუმტკიცებელი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების ამორჩევა

- დამტკიცებული და დაუმტკიცებელი კანონში ცვლილების ჯაჭვების ამორჩევა
- ვალიდაცია #1-შემოწმება, რომ კალათის ცნობები ერთმანეთს აბალანსებენ
- ვალიდაცია #2-შემოწმება, რომ კალათის ცნობების მონაცემები არ ეწინააღმდეგებიან ბიუჯეტირების პორტალების ანასახებსა და წლიურ და კვარტალურ ფაილებს
- რეპორტირება-კვარტალური განწერის რეპორტების ამოღება შემდეგ მონაცემებზე:
  - კალათის ცნობები
  - კალათის ცნობები+დამტკიცებული კვარტალური ფაილის მონაცემები
- კალათის დამტკიცება

დეველოპმენტის პროცესშია სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების სისტემის ერთიანი რეპორტი, რომლის საშუალებითაც ერთ დოკუმენტში მოხდება შემოსავლების, ხარჯებისა და ბალანსების ფორმების ჯამური მონაცემებისა და ცალკეულად განმკარგავების მიხედვით მონაცემების თავმოყრა.

### **eDMS - საგარეო ვალის მართვის სისტემა**

დასრულდა მუშაობა საგარეო და შიდა ვალის მართვის ელექტრონული სისტემის ძირითად ფუნქციონალზე. საგარეო დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს საინვესტიციო და ბიუჯეტირების მხარდამჭერი პროექტების შევსება. ამ ეტაპზე, სისტემაში უკვე რეგისტრირებულია ყველა მოქმედი პროექტი თავისი დეტალებით და ხდება ჩამორიცხვების და გადახდების მონაცემების იმპორტი.

შიდა ვალის აღრიცხვის და მომსახურების მოდული გაშვებულია სრულ სამუშაო რეჟიმში, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ფასიანი ქაღალდების აუქციონების დეტალების, პირობების და მათი მომსახურების გრაფიკის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება. საშინაო ვალის მოდულს დაემატა ემისიის გეგმების ნაწილი, რომლის ფარგლებში შესაძლებელია აღრიცხვა და მართვა მომდევო წლებში ჩასატარებელი აუქციონების და განხორციელებული ცვლილებების შენახვა.

სისტემა ინტეგრირებულია ელექტრონული ბიუჯეტირების და ხაზინის სისტემებთან, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის, მათ შორის განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების დეტალების და ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების თანხების გაგზავნა. მოდულს დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომლის მეშვეობით ცვლილების ცნობებით განხორციელდება ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებზე დამტკიცებული თანხების ცვლილება.

ასევე, ელექტრონულად ხორციელდება მიზნობრივი გრანტის აღრიცხვა და მონაცემების გაგზავნა ელექტრონული ხაზინის და ბიუჯეტირების სისტემაში შემდგომი დამუშავებისთვის.

განხორციელდა მოდულის გრაფიკული ინტერფეისების გადაწყობა და ფილტრების დამატება, რამაც სისტემა მომხმარებლისთვის უფრო მოხერხებული გახადა.

მოდულს დაემატა Reopening ტიპის აუქციონების აღწერის საშუალება შესაბამისი ვალიდაციებით.

დაემატა საპროგნოზო (დაგეგმილი) აუქციონების სისტემაში დამატების და აღწერის საშუალება.

მოხდა ეროვნული ბანკის სესხის დეტალურად გაშლა, რაც იძლევა საშუალებას ყოველი ემისიის ვადიანობის დადგენის და მასზე სხვადასხვა ფინანსური კალკულაციების განხორციელების.

საშინაო სესხის ფარგლებში ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, რომლებზეც გაცემულია სესხი, ჩაუტარდათ 1 კვირიანი ტრენინგი.

საშინაო სესხის მოდულის გაიშვა სამუშაო გარემოში, ხოლო სატესტო გარემოზე მოხდა გარე მომხმარებლების დაშვება მონაცემების შესავსებად.

საშინაო სესხის მოდულში დაემატა ძირითადი რეესტრი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერ მომენტში სახელმწიფოს მიერ გაცემულ სესხებზე ელექტრონული რეესტრის ავტომატურად შედგენა და მისი შემდგომი მართვა (დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა და ა.შ.). რეესტრის პროგრამირება და პირველადი ტესტირება დასრულდა. ამჟამად, მიმდინარეობს ტესტირება სამუშაო რეჟიმში.

სისტემას დაემატა ელექტრონული სერვისი, რომლითაც ხდება სესხის ფარგლებში განხორციელებული გადახდებზე ხაზინიდან ინფორმაციის მიღება.

## **eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის სისტემა**

ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვის მიზნით შემუშავდა ავტომატიზებული სისტემა, რომლის მიზანია პერსონალის მართვის პროცესის გამარტივება, დაჩქარება და ხარისხის გაუმჯობესება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული აქტივობების და ამოცანების ავტომატიზაციის გზით.

დასრულდა მუშაობა სისტემის ძირითად ფუნქციონალზე. ასევე, სისტემას დაემატა ხელფასების და მივლინების მოდულები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სახელფასო უწყისის გენერირება და მივლინებების ბრძანებების აღრიცხვა. ამჟამად მიმდინარეობს ამ მოდულების ტესტირება და ინტეგრაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან, რის მეშვეობითაც განხორციელდება ხელფასების გადარიცხვა და მივლინების დარეგისტრირება.

სისტემას დაემატა ძიების და რეპორტირების ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც კადრების თანამშრომლებს შეეძლებათ განახორციელონ ძიება სისტემაში ნებისმიერი პარამეტრით და სასურველი ფორმატით ამოიღონ შესაბამისი რეპორტი. ასევე, ფუნქციონირებს სტატიკური სახის რეპორტების მოდული, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია მზა ფორმის რეპორტების გენერირება. სტატიკურ რეპორტებში რეალიზებულია ყოველდღიური დასწრების რეპორტის ფუნქცია, რომელიც ტურნიკეტის ბაზის ინფორმაციებზე დაყრდნობით აწარმოებს თითოეულ თანამშრომელზე დასწრების აღრიცხვას საათების მიხედვით და გააჩნია საშვების კონტროლი.

სისტემა კადრების თანამშრომლებს აძლევს საშუალებას საჭიროებისამებრ გამოიყენონ კლასიფიკატორები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სისტემის ინტეგრაცია მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (ePassport), რის მეშვეობითაც განხორციელდება ახალი მომხმარებლის დარეგისტრირება და უფლებების განსაზღვრა.

## პორტალები, ვებ-გვერდები, ელექტრონული სისტემები

განხორციელდა და მიმდინარეობს 15-ზე მეტი ვებ-გვერდის შემუშავება, მხარდაჭერა და ჰოსტინგი

- [www.mof.ge](http://www.mof.ge) - ფინანსთა სამინისტრო; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.is.ge](http://www.is.ge) - საგამომიებო სამსახური; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.ia.ge](http://www.ia.ge) - შიდა აუდიტი; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.fas.ge](http://www.fas.ge) - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.menr.gov.ge](http://www.menr.gov.ge) - ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- [www.IamGeorgian.com](http://www.IamGeorgian.com) - ქართული დიასპორის ქსელი; შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.mofacademy.ge](http://www.mofacademy.ge) - ფინანსთა სამინისტროს აკადემია; შემუშავება - მხარდაჭერა.
  - [pay.mofacademy.ge](http://pay.mofacademy.ge) - ფინანსთა სამინისტროს აკადემია სასწავლო კურსების არჩევისა და გადახდის სისტემა.
  - <http://www.mofacademy.ge/Questionnaire> - ფინანსთა სამინისტროს აკადემიისა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კითხვარები: კითხვარი შემსყიდველებისათვის“ და „კითხვარი მიმწოდებლებისთვის“.
  - <http://tna.mfg.ge/> - ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოდული - შემუშავება - მხარდაჭერა.
- [www.georgia.gov.ge](http://www.georgia.gov.ge) - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.

- [accountant.gov.ge](http://accountant.gov.ge) - სახელმწიფო ხაზინის სახელმწიფო ფინანსური მართვის რეფორმის პორტალი - შემუშავება - მხარდაჭერა.
- ACMS დავების განხილვის სისტემა - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- FAS შიდა კორპორატიული სივრცე - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.
- <http://imof/hr/> - თანამშრომელებისა და ხელმძღვანელების შეფასების მოდული - შემუშავება - მხარდაჭერა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შევსების მოდული - მხარდაჭერა, ოპტიმიზაცია.

### eAuction – ელექტრონული აუქციონი

მიმდინარე წლის ოქტომბერში გაეშვა აუქციონის ახალი ვერსია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ინტერფეისითა და ფუნქციონალური ნაწილით. დამატებულია შემდეგი მოდულები და სერვისები:

- ფიზიკური პირის მიერ ლოტის განაცხადის განთავსების შესაძლებლობა ელექტრონულ აუქციონზე.
- ჩემი აუქციონი, სადაც მომხმარებელს გამოუჩნდებათ შეძენილი ლოტები და მათი გადახდები.
- გადახდების ნაწილი, რომელიც მოიცავს: 1. საბანკო გარანტიით ლოტზე აქტივაციას (მიმდინარე); 2. ბანკში ხელით შეტანილი თანხების (ბილინგი) ავტომატურად ასახვას ელექტრონულ აუქციონზე და მათ მართვას; 3. ელექტრონული კომერცია (ბარათების მომსახურება); 4. დაემატა ახალი ფუნქციონალი - ელექტრონული საფულე, რომლის მეშვეობით მოხდება ყველანაირი გადახდის ოპერაციის შესრულება აუქციონზე და, ასევე, შესაძლებელი იქნება ამ ბალანსის მოხერხებელი შევსება.
- მომხმარებლების ადმინისტრირება, რომელიც მოიცავს სამ ქვეპუნქტს: მომხმარებლების ადმინისტრირება, ჯგუფების ადმინისტრირება და მათი უფლებების მართვა.
- დასრულდა ანგარიშების ნაწილი, რომელიც მოიცავს გადახდებს და მომხმარებლებს. მიმდინარეობის პროცესში დასრულებული აუქციონის და გაყიდული მაღაზიის შედეგების ფუნქციონალის რეალიზაცია.
- დასრულდა დროის უკუამთვლელის რეალიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობის პერიოდში, დარჩენილი დროის ზუსტად გამოთვლაზე და, შესაბამისად, აუქციონის დასრულების ზუსტად დაფიქსირებაზე.
- რეალიზებულია აუქციონის შედეგების ელექტრონულ მეილზე და მობილურ ტელეფონზე გაგზავნის ფუნქცია.
- რეალიზებულია დინამიური კატეგორიების, ველების და ვარიაციების გენერირების ფუნქცია ახალი განაცხადის რეგისტრაციის დროს.

## eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

ფინანსთა სამინისტროს უწყებების გარდა, სისტემა დაინერგა 10-მდე მსხვილ სახელმწიფო ორგანიზაციაში. მიმდინარეობს სისტემის ვერსიის განახლება; განახლებული ვერსია დაინერგება სისტემის ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში. დასრულდა მოლაპარაკებები აჭარის ა.რ. სამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც სისტემა დაინერგება 2013 წლის 1-ელ კვარტალში.

## ინფრასტრუქტურა, მხარდაჭერა

განხორციელდა:

- მონაცემთა სარეზერვო ცენტრის მშენებლობა, აღჭურვა და ექსპლოატაციაში გაშვება.
- ახალი Gateway-ს დანერგვა, გლობალური IP მისამართების შექმნა და პროვაიდერების დუბლირება.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დაშვების ბარათული სისტემის დანერგვა.
- სარეზერვო კოპირების დისკური სისტემის დანერგვა.
- აქციზური მარკების მართვის ინფრასტრუქტურის შექმნა.
- შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია და სატესტო ინფრასტრუქტურის განვითარება.
- სამინისტროს მომხმარებლების დომენიზაცია და ლოკალური სერვერების დანერგვა.
- გარე სერვისების მოდელის დანერგვა და სხვა ორგანიზაციებისათვის სერვისების მიწოდება.
- PKI უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის დანერგვა.
- ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის ექსპლოატაციაში გაშვება.
- უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების შემუშავება.
- თანამშრომლების ტრენინგი ძირითადი სისტემების მართვასა და ოპტიმიზაციაში.